N 14 11/01/2018

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი 22

დ. ჩოხატაური *28 დეკემბერი, 2017 წელი*

სხდომის თავმჯდომარე- ზაალ მამალაძე

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები:

დავით ბერძენიშვილი, ქეთევან სიხარულიძე, ზვიად წეროძე, აკაკი ყაჭეიშვილი, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია,გიორგი რამიშვილი, ნატო ჩანტლაძე, ლევან ლომინეიშვილი, ერეკლე უღრელიძე, გივი თავაძე, უშანგი ართმელაძე, ენვერი ახალაძე, ბესიკ ყენია, შოთა ჩხიკვაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, იაშა შათირიშვილი, კლოდი მდინარაძე, ზვიადი მამალაძე, კობა კალანდაძე, მანანა მინდაძე, მარინე ბერაძე, დავით შარაშიძე, თემურ ხუხუნაიშვილი, მაია გიორგაძე, ალექსანდრე ყაჭეიშვილი, ლია ჩიგოგიძე, მინდია დოლიძე, მაია კუტუბიძე, ირაკლი ახობაძე, გოჩა მეგრელიშვილი.

არ ესწრებოდა: ალექსანდრე შარაშიძე, დავით გუდავაძე, ბექა გამდლიშვილი, შალვა ჩანტლაძე, მამია ბარამიძე.

მოწვეული მუნიციპალიტეტის მერიიდან:

მაია გოგოლაძე - საფინანსო სამსახურის უფროსი.

სხდომას ესწრებოდა მუნიციპალიტეტის მერი- ირაკლი კუჭავა.

ჩოხატაურსა და ლანჩხუთში მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში- ანა თავართქილაძე.

სხდომას ესწრებოდა გაზეთ ,,გურია ნიუსის“ კორესპონდენტი- ნატო გოგელია.

მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის უფროსები.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. ფრაქციის ,,ქართული ოცნება-მწვანეები“ რეგისტრაციის შესახებ.
2. ,,სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N94 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.
4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 33

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 33 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ფრაქციის ,,ქართული ოცნება-მწვანეები“ რეგისტრაციის შესახებ.

მომხსენებელი: ზაალ მამალაძე

2. ,,სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N94 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ზაალ მამალაძე

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ზაალ მამალაძე

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ირაკლი კუჭავა

I საკითხი: ფრაქციის ,,ქართული ოცნება-მწვანეები“ რეგისტრაციის შესახებ.

მოისმინეს:

ფრაქციის ,,ქართული ოცნება-მწვანეები“ რეგისტრაციის შესახებ.

მომხსენებელი: ზაალ მამალაძე

<u>**აზრი გამოთქვა:**</u> გოჩა ჯიქიამ, ირაკლი ახობაძემ.

მიღებულია განკარგულება: ცნობად იქნა მიღებული ფრაქციის ,,ქართული ოცნება-მწვანეები“ რეგისტრაციის შესახებ.

II საკითხი: ,,სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N94 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს:

,,სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N94 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ზაალ მამალაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> მანანა მინდაძემ, ვლადიმერ სიხარულიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 33

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 33 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ,,სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ” ჩოხატაურის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N94 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

III საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ზაალ მამალაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ირაკლი ახობაძემ, აკაკი ყაჭეიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 33

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 33 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-3 საკითხის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება.

სხდომის განახლების შემდეგ ლანჩხუთი- ჩოხატაურის მაჟორიტარმა დეპუტატმა საქართველოს პარლამენტში ქალბატონმა ნინო წილოსანმა შობა- ახალი წელი მიულოცა და საკრებულოს მთლიან შემადგენლობას ჯანმრთელობა, ბედნიერება, დოვლათი, მშვიდობა და ურთიერთანადგომა უსურვა.

IV საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

<u>**აზრი გამოთქვა:**</u>

ზვიად მამალაძემ სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ და აღნიშნა, რომ სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შენიშვნები 2018 წლის ბიუჯეტთან მიმართებაში თითქმის

მთლიანად იქნა გათვალისწინებული. (5- დან 4 შენიშვნა). წარმოდგენილი შენიშვნები შეეხებოდა შემდეგი პროექტების განსახორციელებლად 2018 წელში თანხების გათვალისწინებას:
-დაბის განვითარების გეგმისა და პროექტირებისთვის.

-ცხრა აპრილის სკვერში ბავშთა გასართობის პარკის მოწყობისა და განვითარებისთვის.

-შუაფარცხმის ტყე- პარკის პროექტირებისათვის.

-ბაზრის ხიდის პროექტირებისათვის.

თანამშრომლობისთვის მადლობას უხდის მერიას და მხარს უჭერს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტს.

2018 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით მომხსენებლის და თანამომხსენებლის გამოსვლის შემდეგ საკრებულოს წევრებმა კითხვით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს.

ლია ჩიგოგიძე- საკრებულოს წევრი

ბატონო მერო, -თქვენ აღნიშნეთ, რომ ,,უსაქმურები სახლშიო“. ეს თანამშრომლები ხომ თქვენს მიერაა დანიშნული;

-არის კატეგორია ადამიანებისა, რომლებსაც უმაღლესი განათლება აქვთ და არ არიან დასაქმებულნი, ხოლო ერთ-ერთ ა(ა).ი.პ.- ში მომუშავეს ვკითხე თუ რა თანამდებობა ეჭირა და არ იცოდა. ვფიქრობ, ასეთი ადამიანების დასაქმება ძალიან ცუდია. არის მეორე პრობლემა: აქ მომუშავე პირები 2-3 სამსახურში მუშაობენ და ხომ არ აჯობებდა გავუზარდოთ ხელფასები ამ თანამშრომლებს და დავტოვოთ ერთ სამსახურში, ამით საქმესაც ეფექტურად გააკეთებენ;

-მაინტერესებს, ასევე ხელფასების სხვაობა რით არის გამოწვეული. დამლაგებელს უფრო მეტი აქვს ანაზღაურება, ვიდრე მეცნიერ მუშაკს. მაგალითად მუზეუმში, სამხატვრო სკოლაში და სხვაგან;

-არ თქმულა არაფერი იმასთან დაკავშირებით, რომ გაიხსნას რაიმე ტიპის საწარმო, სადაც დასაქმდება ადამიანები. ერთჯერადი დახმარება არანაირ შეღავათია უმუშევარი ოჯახისთვის;

-არის კატეგორია ადამიანებისა, რომლებსაც არც სამსახური აქვთ, არც პენსიონერი ყავთ ოჯახში და არიან შეჭირვებულნი. დახმარების სახით 2018 წლის ბიუჯეტში არც ერთ მუხლში არ არის გათვალისწინებული მათზე რაიმე სახის დახმარების გაწევა.

-მაია კუტუბიძე- მაქვს შეკითხვა შემოსავლებთან დაკავშირებით. წყალი მარგებელთან დაკავშირებული ინვესტიციები ყველასთვის სასიხარულო იყო. ვფიქრობ, რომ ამ ბიუჯეტში შემოსავლები არ არის სრულად დაგეგმილი. მაგალითად პრეტენზია მაქვს ქონების გადასახადზე. ის არის დაახლოებით ნახევარ მილიონზე მეტი. ეს არის დარეზერვებული თანხები (შემოსავლები). აუცილებლად შემოვა მიმდინარე წელს და დაიწყება გაუთავებელი დაზუსტებები ბიუჯეტის. ბიუჯეტის დაზუსტება და მასში ცვლილების შეტანა არ არის კარგი პრაქტიკა. აღნიშნული მიანიშნებს, რომ დაგეგმარება არ არის კარგად გათვლილი. მაინტერესებს, რატომ არ არის დათვლილი შემოსავლები?

-თქვენ აღნიშნეთ, რომ ბიუჯეტში იქნება მატება და ეს კარგია, მაგრამ რის ხარჯზე იქნება ეს მატება ნაბეღლავის, თევზის თუ ჯარიმების ამოღების საფუძველზე? შემოსავლები რომ სწორად იყოს დაგეგმილი, მაშინ უფრო მეტი თანხა მიემართებოდა სოციალური საკითხების დაფინანსებისთვის;

-რაც შეეხება 2019 წლის პროგნოზს, აქ გათანაბრებითი ტრანსფერი 3 150,0 ათასი ლარი არის განსაზღვრული. დაახლოებით 1 72,0 ათასი ლარით მეტი, ვიდრე ახლაა. რით ახსნით გათანაბრებითი ტრანსფერის ამხელა მოცულობის პროგნოზს, როცა ეკონომიკა და შემოსავლები მიდის უკან;

-ბიუჯეტის შემოსავლების წილში რატომ არის ტაბუდადებული 100 %-იანი ნაწილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს სერვისცენტრის დივიდენტები, დაინტერესებულხართ თუ არა მისი საქმიანობით და აკონტროლებთ თუ არა მას;

ირაკლი ახობაძე- გასულ წელს ჩვენ მივიღეთ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან ნაგავმზიდი ტექნიკა. 2018 წელში ვალდებულება გვაქვს თუ არა აღებული თანხის გადახდის და იწყება თუ არა ამ თანხის გადახდა;

-სოციალურ ქსელში დაისვა ეს კითხვა და გურია ნიუსის გვერდზეც დაიბეჭდა ეს შეკითხვა, საუბარია შიდა გზების ინვენტარიზაციაზე- ანუ არ ჩატარდა ინვენტარიზაცია და თითო წელში მუნიციპალიტეტი კარგავს მილიონ ლარს. ეს მოქმედებს გათანაბრებითი ტრანსფერის გაზრდაზე. ამასთანავე, დარღვეულია თვითმმართველობის კოდექსის 155-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტი. გთხოვთ განმარტებას.

მუნიციპალიტეტის მერის ირაკლი კუჭავას პასუხი დასმულ კითხვებზე:

-სლოგანი ,,უსაქმურები სახლში“ ამ შეკითხვას თქვენ თვითონვე გაეცით პასუხი, როცა აღნიშნეთ,

რომ ადამიანს ვეკითხები და არ იცის რა ფუნქცია აქვს და სად მუშაობსო. ეს არის ცუდი მენეჯმენტის შედეგი;

-ა(ა)ი.პ.-ებში რეორგანიზაციის განხორციელების შემდეგ ნათელი იქნება შევძლებთ თუ არა ხელფასების ზრდას.

-გეთანხმებით, რომ სამუშაო ადგილები არის შესაქმნელი, მაგრამ ვერ დაგეთანხმებით რომ ჩვენ ავაშენოთ საწარმოები და რატომ: არც ერთ ქვეყანაში, მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც, ხელისუფლება არ არის სამუშაო ადგილების შემქმნელი, ხელისუფლება უნდა ქმნიდეს გარემოს, რომ წარმატებულ ადამიანებს შეეძლოს თავისი ბიზნესის წამოწყება და გაფართოება. ამის მაგალითი ბევრია ჩვენს მუნიციპალიტეტში. ჩვენი ამოცანაა, რომ ხელი შევუწყოთ ინვესტორებს საწარმოების ასაშენებლად.

-დავრწმუნდით რა ერთჯერადი დახმარებების არაერთჯეროვნებაში. 2017 წლიდან იგი აღარ გაიცემა. ის თანხა დავამატეთ მედიკამენტებით სარგებლობაზე . ამიტომ, ერთჯერადი დახმარების თანხა აღარ ჩაიდება 2018 წლის ბიუჯეტში. გადაუდებელ შემთხვევაში მერის სარეზერვო ფონდიდან მოხდება დახმარება;

ვუპასუხებ ქალბატონ მაია კუტუბიძის შეკითხვებს რეზერვებთან დაკავშირებით, შეიძლება არ გვაქვს რეზერვები, მაგრამ თქვენ კარგად იცით საბიუჯეტო პროცესი, რეზერვში დატოვება ჯობია სეკვესტრს. უმჯობესია შემდეგ მივიღოთ რეზერვები და შემდეგ გამოჩნდეს იგი. საბიუჯეტო პროცესი ცოცხალი პროცესია და დაზუსტებაში ცუდს ვერაფერს ვერ ვხედავ.

- პრიორიტეტების შესაბამისად ინფრასტრუქტურული პროექტების დაწყების შემდეგ მოხდება თანხების ასახვა ბიუჯეტში.

-დივიდენტების საკითხს რაც შეეხება, ეს თემა მეც მაინტერესებს, ყველგან სტიქიური შემთხვევების დროს ასეთი ცენტრები მუშაობენ. ამას ახლავს ხარვეზები, მაგრამ საუბარია იმაზე, რომ ამოვიღოთ ჯიბიდან ფული, გადავუხადოთ და დაგვიბრუნდება დივიდენტის სახით. იმის გამო, რომ ოპერატიულობა და მოქნილობა იყოს შენარჩუნებული, გავაფორმეთ ხელშეკრულება ჩვენს სერვისცენტრთან ერთად, ერთად მოვუყარეთ ტექნიკას თავი, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის ქონებაა.

-ვმუშაობთ იმ საკითხზე, რომ მივცეთ თანხა და დავიბრუნოთ თანხა. თუმცა შესრულებული საქმე უფრო მეტია, ვიდრე მოსალოდნელი დივიდენტები.

-მუნიციპალური განვითარების ფონდიდან ნაგავმზიდი ტექნიკის თანხის გადახდის ვალდებულება წელს არ გვაქვს აღებული;

ბოლოს მინდა შევეხო მთავარ თემას, სოც. ქსელში გავრცელებულ წერილზე, გეტყვით, რომ რა ყოფილა მერი, რომელიც მილიონებს უკარგავს მუნიციპალიტეტს. ჩემი პასუხი ესაა: წერილში ბატონი მალხაზი წერს ფორმულას T=E-R და საბიუჯეტო კოდექსის მუხლი 74-ეს ეხება ეს ფორმულა. კარგად არის გაშიფრული E, მაგრამ არაფერს ამბობს ე.წ. ,,მაკლებზე" ანუ R-ზე. რას გვეუბნება 74-ე მუხლის ეს ნაწილი R- თან დაკავშირებით: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლები გრანტების გარდა, რომელიც თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის დაიანგარიშება მიმდინარე წლის პროგნოზისა და გასული სამი წლის ფაქტობრივი მაჩვენებელის ტენდენციის მიხედვით. ანუ გამოდის, რომ ჩვენ ყოველწლიურად ვზრდით ადგილობრივ შემოსავლებს. ამ ფორმულაში იზრდება R და რა გაზრდის T-ს. იზრდება რა ადგილობრივი შემოსავლები, შესაბამისად იზრდება საკლები და მცირდება სხვაობა. არავითარი მილიონები არ დაუკარგია მუნიციპალიტეტის მერს. ეს არის პოპულარიზმის კარგი მცდელობა.

ზაალ მამალაძე- მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:

- ა(ა)ი.პ.-ების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ერთობლივად ვმუშაობთ მერიასთან. მათი სტრუქტურის წარმოდგენა მერიის პრეროგატივაა, საკრებულო მხოლოდ თანხმობას აძლევს. მუნიციპალიტეტში არსებული 14 ა(ა)ი.პ.-იდან მხოლოდ რამდენიმეს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს საკუთარი შემოსავალი. ჩვენი მიზანიც მათთვის დახმარების გაწევაზე ზრუნვაა. ერთობლივად ვმუშაობთ იურიდიულად რა ფორმით იქნება შესაძლებელი საკუთარი შემოსავლების გამოყენება. სამხატვრო სკოლის გრანტის ფარგლებში გადაეცა დანადგარი, რომლის მეშვეობითაც 3 000 ათასი ლარის ღირებულების პროდუქცია აქვთ გასაყიდი. დამატებითი შემოსავალი მათთვის უკვე სტიმულია. ჩემი მოსაზრებაა, რომ გაყიდვის შემდეგ მიღებული თანხა მათ ჰონორარის სახით მივცეთ. ეს ხომ მათთვის დამატებითი შემოსავალი და სტიმული იქნება. იდეაში კარგი იქნება თუ ვიფიქრებთ ორი მაღაზიის, ერთის დაბაში და მეორეს ბახმაროში გახსნაზე, რომ ამ მაღაზიებში რეალიზებული იქნას ა(ა)ი.პ.-ების მიერ წარმოებული პროდუქცია;

-სამუშაო ადგილების შექმნასთან დაკავშირებით, თუ რას ვაკეთებთ, რას ვფიქრობთ. გეტყვით, რომ ამ ეტაპზე შესაძლებელია სწრაფად რომ მოხდეს ადამიანთა დასაქმება და ბიუჯეტის ზრდაც, ეს ყველაზე მეტად ტყის რესურსების გეგმაზომიერი მართვითაა შესაძლებელი;

-თუკი ჩოხატაურში სატყეო მეურნეობა აღდგება, ეს დამატებით სამუშაო ადგილებს და შემოსავლებს გააჩენს მუნიციპალიტეტში. უკვე დასრულდა ტყის მოწყობის სამუშაოები, რომელიც მსოფლიო ბანკის დაფინანსებით გაკეთდა. მალე გასაჯაროვდება დოკუმენტი და ვფიქრობ, რომ ამ დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, ცენტრალურ ხელისუფლებას შევთავაზოთ, აღდგეს სატყეო მეურნეობა. მუნიციპალიტეტში ეს, შესაძლოა, იყოს საპილოტე პროექტი, რაც გაზრდის სამუშაო ადგილებს და მოიტანს შემოსავალს. ამაში საკრებულო აქტიურად უნდა იყოს ჩართული და გთხოვთ, დოკუმენტის მიღების შემდეგ, გთხოვთ, ერთობლივად მოვამზადოთ მოტივირებული წერილი ცენტრალური ხელისუფლებისთვის;

-საფიქრალია ასევე ახალი ჰესების შექმნაზე, რაც ადგილობრივი მუშახელის დასაქმებას გამოიწვევს. ადამიანთა დასაქმება შესაძლებელია ტურისტული, სოფლის მეურნეობის კუთხითაც. ამისათვის უნდა ვიზრუნოთ საოჯახო სასტუმროების შექმნაზე, ასევე ტურისტების მოზიდვაზე ჩვენს რაიონში;

-წინასწარ შევიმუშავე რამდენიმე გეგმა ტურისტული კუთხით. მაგალითად დაბის იერსახის კეთილმოწყობაზე, ტენდერზე არ იქნას დადებული დაბის კეთილმოწყობა და იყოს საკონკურსო. მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო ფარცხმის ტყე- პარკის კეთილმოწყობის საკითხს. ვფიქრობ, რომ ამ პარკში მარტივი ხერხით დიდი დანახარჯის გარეშე შეგვიძლია გავაკეთოთ ტურისტებისთვის საინტერესო ნაგებობები თუ სხვა კონსტრუქციები, რადგან მუნიციპალიტეტში ჩამოსულ ტურისტს ჩოხატაურის იერსახე მოწესრიგებული უნდა დახვდეს და აქ ჩამოსულ ტურისტს კიდევ გაუჩნდეს მოსვლის სურვილი. მიხარია და მადლობა მერს, რომ ფარცხმის ტყე-პარკის იერსახის მოწესრიგებისთვის ბიუჯეტში, ერთხელ და სამუდამოდ გათვალისწინებული იქნა თანხები;

-მიღწეულია შეთანხმება ჩვენი მერიასთან რომ უნდა გაკეთდეს სანერგე. მოვძებნოთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელიც ჩვენს ბალანსზე იქნება და სადაც მოეწყობა სანერგე მეურნეობა.

აქ გამოყვანილი ნერგები მუნიციპალიტეტის გამწვანებას მოხმარდება. კეთილმოწყობის სამსახურში 5 ადამიანი მუშაობს გამწვანების კუთხით და ჩვენ შეგვიძლია, გვქონდეს ჩვენი სანერგე მეურნეობა. არა მარტო დასაქმებული ადამიანები, ასევე საკრებულოშიც კი ამ სფეროში მცოდნე ადამიანები ჩაერთვება ამ საკითხში. მივმართავ მერიის შესაბამის სამსახურს მოიძიოს 2 000 კვ.მ. მიწა, თუ ბალანსზე გვაქვს კარგია, თუ არა და მოვიძიოთ. ამით ადგილზე შეიძლება ვაწარმოოთ ნერგები და აღარ ვიყიდით და ამისთვის კიდევ ცალკე თანხა აღარ დაიხარჯოს. დაევალოს ეს კომუნალურ სამსახურ სხივს;

-გორაბერეჟოულის ტყე-პარკზეც მინდა გავამახვილო ყურადღება. დაინტერესებულია მსოფლიო

ბანკიც ამ თემით. ეს თემები საკრებულოს ინიციატივითაა წამოწყებული განხილვის საგნად და ამიტომაცაა ჩემი დიდი დაინტერესება კონკრეტულად ამ საკითხებთან;

-პროფესიული სასწავლებლის გახსნა იგეგმება გორაბერეჟოულში, იმ პარკის ტერიტორიაზე. მთავარი ისაა აქ, რომ ჩვენ დამატებით მოვამზადებთ კვალიფიცირებულ ადამიანებს, რომელთა დასაქმება გაცილებით დიდი იქნება ტურისტული, სატყეო თუ ჰესების მიმართულებით.

შენიშვნების გათვალისწინებით მუშაობას გავაგრძელებთ და იმედი მაქვს თქვენი აქტიურად ჩართულობის.

ჩვენი წარმატება თითოეული ჩვენი მოქალაქის წარმატებაა.

ლია ჩიგოგიძემ ზაალ მამალაძის საუბრის დასასრულს ყურადღება გაამახვილა შემდეგზე: იმის გათვალისწინებით, როცა ადამიანებს ძალიან უჭირთ, ელემენტარულადაც არ არის დაკმაყოფილებული მათი მოთხოვნები. ხომ არ აჯობებდა ფარცხმის ტყე- პარკის აღდგენისათვის გათვალისწინებული თანხები მათ დასახმარებლად მიგვემართა

ზაალ მამალაძე- დამეთანხმები, რომ დაახლოებით 40,0 ათასი ლარით სიღარიბის, გაჭირვების დაძლევა და რომელიმე სოციალური პროგრამის წარმატებულად განხორციელება შეუძლებელია.

ტურისტის შემთხვევაში ფარცხმაში მას გაუჩნდება სხვა მოთხოვნილებები, საცხოვრებლის, საკვების და ა.შ. ეს უკვე დამატებითი შემოსავალია სოფელში მცხოვრებლებისთვის. სახლის სასტუმროები საოჯახო, სოფლის მეურნეობა და სხვა. ეს 40,0 ათასი ლარი ერთჯერად დახმარებებსაც არ ეყოფა იმ ოჯახებისთის, რომლებსაც უჭირს და სიღარიბეში უწევთ ცხოვრება, როგორც თქვენ აღნიშნეთ.

ნატო გოგელია: საბავშვო ბაღებში გადასახადების შემოღებასთან დაკავშირებით მაქვს შეკითხვა, მაინტერესებს თქვენი მოსაზრება პრემიერის განცხადებასთან დაკავშირებით და ასევე მაინტერესებს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში ფარდების ფერის ცვლილებასთან დაკავშირებით იყო თეთრი და მასიურად შემოვიდა ლურჯი ფერი, ეს რაიმე პოლიტიკური ნიშანი ხომ არ არის?

ზაალ მამალაძე- პრემიერის ინიციატივაზე საბავშვო ბაღებთან დაკავშირებით, ვფიქრობ, რომ ბაღებში აუცილებლად უნდა იყოს შეღავათები 2-3 ბავშვიან მშობლებზე, თუმცა გადასახადი ვფიქრობ, რომ შემოსავლიან მშობლებს უნდა ჰქონდეს დაწესებული, რა თქმა უნდა თანადაფინანსება სახელმწიფოს მხრიდანაც უნდა იყოს. მინიმალური გადასახადი, რომელსაც იხდის მშობელი, ის უფრო მეტად მომთხოვნი იქნება და შესაბამისი სტრუქტურების მიმართ ისეც მუშაობის პროცესს

უფრო მოაწესრიგებს.

ფერს რაც შეეხება, მე რამდენიმე საბავშვო ბაღში ვიყავი ღონისძიებებზე და არ გამიმახვილებია ყურადღება ფარდის ფერზე. პოლიტიკა აქ არაფერ შუაში არ არის. ვისაც რა ფერი მოსწონს, იმ ფერს იყენებს, ამაში რაიმე პრობლემას მე ვერ ვხედავ.

მოისმინეს:

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

<u>აზრი გამოთქვა:</u> ირაკლი ახობაძემ აღნიშნა, რომ_პირველი მუხლი არ ბალანსდება, ეს არაერთხელ აღვნიშნე. სოციალურ პროგრამებში გათვალისწინებულია 550,0 ათასი ლარი, ხოლო ბალანსში, იგივე პროგრამაზე - 330,0 ათასი ლარი.

მაია გოგოლაძე- ხარჯები იყოფა 4 ძირითად ჯგუფად. ეს არის შრომითი ანაზღაურება, საფინანსო მომსახურება, სუბსიდია, გრანტები, სოციალური უზრუნველყოფა და სხვა ხარჯები.

სოციალური უზრუნველყოფა- ეს არის ამ მუხლით დასაფინანსებელი პროგრამები. ეს არის ეკონომიკური მუხლების მიერ გაწერილი. ჯამში არის 550, 0 ათასი ლარი, არაფერი თანხა მოკლებული არ არის ამ პროგრამებზე.

ირაკლი ახობაძე თვითმმართველობის კოდექსის 155-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტის დარღვევის გამო არც ერთ მუხლს არ უჭერს მხარს.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 28

წინააღმდეგი _ 5

(ი.ახობაძე, მ. კუტუბიძე, ლ.ჩიგოგიძე, მ. დოლიძე, გ. მეგრელიშვილი)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 33 წევრი)

მოისმინეს:

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 28

წინააღმდეგი _ 5

(ი.ახობაძე, მ. კუტუბიძე, ლ.ჩიგოგიძე, მ. დოლიძე, გ. მეგრელიშვილი)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 33 წევრი)

მოისმინეს:

მუხლი 3. ჩოხატაურისმუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 28

წინააღმდეგი _ 5

(ი.ახობაძე, მ. კუტუბიძე, ლ.ჩიგოგიძე, მ. დოლიძე, გ. მეგრელიშვილი)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 33 წევრი)

საკრებულოს წევრმა გოჩა მეგრელიშვილმა მე-3 მუხლის კენჭისყრის შემდეგ სხდომის მუშაობაში მონაწილეობა არ მიუღია.

მოისმინეს:

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 28

წინააღმდეგი _ 4

(ი.ახობაძე, მ. კუტუბიძე, ლ.ჩიგოგიძე, მ. დოლიძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 32 წევრი)

მოისმინეს:

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 28

წინააღმდეგი _ 4

(ი.ახობაძე, მ. კუტუბიძე, ლ.ჩიგოგიძე, მ. დოლიძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 32 წევრი)

მოისმინეს:

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 28

წინააღმდეგი _ 4

(ი.ახობაძე, მ. კუტუბიძე, ლ.ჩიგოგიძე, მ. დოლიძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 32 წევრი)

მოისმინეს:

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 28

წინააღმდეგი _ 4

(ი.ახობაძე, მ. კუტუბიძე, ლ.ჩიგოგიძე, მ. დოლიძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 32 წევრი)

მოისმინეს:

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 28

წინააღმდეგი _ 4

(ი.ახობაძე, მ. კუტუბიძე, ლ.ჩიგოგიძე, მ. დოლიძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 32 წევრი)

მოისმინეს:

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 28

წინააღმდეგი _ 4

(ი.ახობაძე, მ. კუტუბიძე, ლ.ჩიგოგიძე, მ. დოლიძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 32 წევრი)

მოისმინეს:

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 28

წინააღმდეგი _ 4

(ი.ახობაძე, მ. კუტუბიძე, ლ.ჩიგოგიძე, მ. დოლიძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 32 წევრი)

მოისმინეს:

მუხლი 11. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 28

წინააღმდეგი _ 4

(ი.ახობაძე, მ. კუტუბიძე, ლ.ჩიგოგიძე, მ. დოლიძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 32 წევრი)

მოისმინეს:

მუხლი 12. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 28

წინააღმდეგი _ 4

(ი.ახობაძე, მ. კუტუბიძე, ლ.ჩიგოგიძე, მ. დოლიძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 32 წევრი)

თავი II

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 28

წინააღმდეგი _ 4

(ი.ახობაძე, მ. კუტუბიძე, ლ.ჩიგოგიძე, მ. დოლიძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 32 წევრი)

თავი III

მუხლი 14. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 28

წინააღმდეგი _ 4

(ი.ახობაძე, მ. კუტუბიძე, ლ.ჩიგოგიძე, მ. დოლიძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 32 წევრი)

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის მუხლობრივად კენჭისყრის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე კენჭისყრის შესახებ.

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 28

წინააღმდეგი _ 4

(ი.ახობაძე, მ. კუტუბიძე, ლ.ჩიგოგიძე, მ. დოლიძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 32 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესახებ.

ოქმს თან ერთვის:

საფინანსო საბიუჯეტო კომისიის დასკვნა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა